

## თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

### აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებებზე:

- 1.1 **სამოქალაქო ინჟინერია - პროფესორი;**
- 1.2 **სამეწარმეო სამართალი - პროფესორი;**
- 1.3 **სოციოლოგია - ასოცირებული პროფესორი**

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **სამოქალაქო**

**ინჟინერიის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება; ასევე

- საერთაშორისო საინჟინრო-ინფრასტრუქტურულ პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- საკონსულტაციო გამოცდილება ინჟინერიის სფეროში;
- მულტი-დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება ინჟინერიის სფეროში;
- პუბლიკაციები;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას;

2.2 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **სამეწარმეო**

**სამართლის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და ასევე:

- სამეწარმეო სამართლის სფეროში, საპროცესო დოკუმენტაციის მომზადებისა და სასამართლო პროცესებზე წარმომადგენლობის გამოცდილება;
- კვლევებსა და პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;
- გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
- ინგლისური ენის ცოდნა.

უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს:

- საკონსულტაციო გამოცდილებით;
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული იურიდიული განათლებით.

2.3 ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **სოციოლოგიის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და ასევე:

- კვლევების მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;
- სოციოლოგიური ანალიზის მიმართულებით თანამედროვე მიდგომების შესახებ თეორიული ცოდნა;
- ინტერ-დისციპლინარულ კვლევებში თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება;
- კვლევითი გრანტების განხორციელების გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში დაცულ სადოქტორო ხარისხს.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2021 წლის 10 მაისიდან - 2021 წლის 14 მაისის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი

<https://form.jotform.com/210972173829462>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2021 წლის 17 მაისიდან - 2021 წლის 21 მაისის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო

კომისიასთან გაიმართება 2021 წლის 24 მაისიდან – 2021 წლის 28 მაისის ჩათვლით.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

**9. საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@freeuni.edu.ge](mailto:Vacancy@freeuni.edu.ge)